ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲘᲠᲐᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲞ (Ბ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
1939 Წ.
№ 178 (5578)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით დავაჩქაროთ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნებისა და კულტურის შემდგომი აყვავება, უფრო მტკიცედ განვამტკიცოთ ჩვენი მამაცი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება!

გამოცდილების დიადი სკოლა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ცხოვრობს თავისი საზეიმო, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული და ამავე დროს ღრმად საქმიანი, სერიოზული ცხოვრებით. სოციალისტური სოფლის მეურნეობის საყოველთაო-სახალხო ზეიმი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური სწავლებაცაა. ათიათასობით პირველი მნახველები ყურადღებით, დაკვირვებით ათვალიერებენ პავილიონებს, სწავლობენ, ადარებენ საკუთარ გამოცდილებას სხვების გამოცდილებას.

გამოფენის მნახველთა დიდი უმრავლესობაა კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, ტრაქტორისტები და კომბაინერები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, აგრონომები. მზემოკიდებული სახეები მოწმობენ, რომ ისინი ჯერ კიდევ გუშინ მინდვრად მუშაობდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილია მთელი დიადი საბჭოთა ქვეყანა, მისი ყველა ნაციონალური რესპუბლიკა, ყველა რაიონი. გამოფენის მნახველები ისინი არიან, ვინც შეჰქმნა გამოფენა, ვინც თავისი ხელით ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოამზადა საკოლმეურნეო წყობილების ტრიუმფი. მრავალი მნახველის მკერდს ორდენები ამშვენებს. თვითეული მათგანის ცხოვრება სახელოვანი ათეული წლის ისტორიაა.

გამოფენა მათ წინაშე ხატავს სოციალიზმის გამარჯვებათა დიად სურათს. ისინი ხედავენ სოციალისტური ინდუსტრიის ძლიერებას — წარმტაც მრავალფეროვნებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებისას, რომლებიც აშენებულია საბჭოთა ქარხნებში. ეცნობიან რეკორდებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში... ყოველივე ეს საგულისხმო შედარების მასალაა. ისინი ხედავენ საუხვეს სურათებს მოწინავე კოლმეურნეობებში. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე გულს სიამაყით აღავსებს, იმიტომ, რომ ეს სიმდიდრე მოპოვებულია მშრომელი, პატიოსანი ხელებით, და შესანიშნავ ნაყოფს, საუკეთო მარცვლეულს, ჩინებულ ცხოველებს არ ანიღვია კაპიტალისტური ჭეშჭის არცერთი ლაქა.

დიდია საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებები, დიდია მისი შემოქმედებითი ძალები. და უკვე ამ გამარჯვებების, ამ ძალების მარტო გაცნობა ახალ ენერგიას ჰმატებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მაგრამ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. **„ჩვენი გამოფენა არა მარტო აგვაშენებს გამარჯვებათა შედეგებს, არამედ წარმოადგენს ავრცოვე მძლავრ მოწოდებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოციალიზმის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ“.** (მოლოტოვი).

გამოფენაზე ჩამოდიან და გამოფენაზე ერთმანეთს ხვდებიან მთელი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავენი. გამოფენის მონაწილენი — ესენია თითქმის ორასი ათასი საუკეთესო, გამბედავი, ენერგიული, თავისი საქმის მოყვარული სოფლის მეურნეობის ნოვატორი. თვითეულმა რაიმეთი ისახელა თავი, დაწინაურდა თავის დარგში. თვითეულმა გამოიჩინა ინიციატივა თავის საქმეში... ერთად კი შემდგომი გამარჯვებებისათვის მებრძოლთა რა შესანიშნავი არმიაა!

გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მიიღო 15.059 კოლმეურნეობამ, 11.004 საკოლმეურნეო ფერმამ, 268 მტს-მა, 795 საბჭოთა მეურნეობამ. ეს არის დაგროვილი გამოცდილების უდიდესი განძი, და გამოფენის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ძვირფასი გამოცდილება, ინიციატივა გადასცეს მილიონობით კოლმეურნეებს, კოლმეურნეობათა ახალ ათასებს. სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ მოედო ჩვენს ქვეყანას, იგი იყო მძლავრი ბერკეტი, რომელმაც ამომძრავა გრიხოლის ფენები. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ ახალი და უფრო ძლიერი ბიძგი უნდა მისცეს სოციალისტურ შეჯიბრებას. იქ მიღწევათა მაჩვენებლები, რომლებმაც მისცეს უფლება გამოფენაზე მონაწილეობისა მიმდინარე წელს, უნდა გახდნენ მაჩვენებლები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალ-ახალი ათასებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი მასისათვის. „ამაში მდგომარეობს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, როგორც მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის წარმოებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორის, მნიშვნელობა“. (მოლოტოვი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ კვლავ ცხადჰყო: არის, რაც უნდა ვისწავლოთ ჩვენს ქვეყანაში, და არიან, ვისგანაც უნდა ვისწავლოთ. მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები — ესენი არიან სანიმუშო მეურნეობები, რომლებიც იყენებენ უახლეს აგროტექნიკას. ის, რასაც მიაღწიეს ამ კოლმეურნეობებმა, შეიძლება მიღწეულ იქნას ყოველ კოლმეურნეობაში, ოღონდ იყოს სურვილი, ოღონდ იყოს საქმისადმი ნამდვილი ბოლშევიკური სიყვარული. გამოფენა არის სრულიად-საკავშირო გამოცდა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წინაშე აბარებენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელნი რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა პირადმა ურთიერთობამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს 1939 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკვე პირველმა დღეებმა მოგვცეს სჩვადასხვა რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეთა საინტერესო შეხვედრის მაგალითები. ასეთია, მაგალითად, პრიმორიეს და ხაბაროვსკის მხარეების კოლმეურნეთა შეხვედრა ვორონეჟისა და კურსკის ოლქების კოლმეურნეებთან. ეს იყო მეგობრული შეხვედრა ადამიანებისა, რომლებიც ათასი კილომეტრებით არიან დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ საქმით უახლოესი მეზობლები და ერთგული ამხანაგები არიან.

თვითეულისათვის, რომელიც ამ შეხვედრაზე გამოვიდა, ძვირფასია თავისი ოლქი. მაგრამ კვალიც არ ყოფილა საოლქო შეზღუდულობისა, „თავისი სამრეკლოს“, თავისი „სამრეველოს“ ინტერესების გადაჭარბებისა. ინტერესების შეზღუდულობის ეს გრძნობები გაჰქრნენ სამრეკლოებთან და სამრეველოებთან ერთად. ყველა გამოსვლაში სჭარბობდა სახელმწიფოებრივი ინტერესები. პირველ ადგილზე იყო სამშობლოს სიყვარული, ზრუნვა მისი აყვავებისათვის, მისი ძლიერებისათვის.

კარგად ცხოვრობენ შორეული აღმოსავლეთის კოლმეურნეობებში! იზრდება მეურნეობა, და მასთან ერთად კეთილდღეობაც. მაგრამ შეიძლებოდა უფრო მეტის მოცემა და უფრო კარგად ცხოვრება, — მიწა ბევრია, პირუტყვი ბევრია, მხოლოდ ადამიანებია ცოტა! გროდეკოვსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი ვ. ა. სკრინიკოვა ლაპარაკობდა: „ჩვენში, შორეულ აღმოსავლეთში, საამური ცხოვრებაა, ამხანაგებო. მიწა ბევრი გვაქვს, სათიბი ბევრია, მხოლოდ ერთი რამ გვაწუხებს — მუშა-ხელი არ გვყოფნის. ადამიანების ნაკლებობის გამო ჩვენ ბევრს ვკარგავთ წელიწადში. არც ბაღები გვაქვს მოცელის მხრივ უზრუნველყოფილი, როგორც რიგია, — ხალხი არ გვყოფნის“.

თავისი პირადი ინტერესებისათვის როდი სწუხს სკრინიკოვა. პატიოსან კოლმეურნე ქალს უნდა, რომ უფრო მეტად აყვავდეს და განმტკიცდეს საბჭოთა მიწა-წყალი.

კარგად ცხოვრობენ კურსკის ოლქის კოლმეურნეობებშიც. კურსკის ოლქის კოროჩანსკის რაიონის კოლმეურნე ქალი პ. ე. ბოგომაზოვა ლაპარაკობდა: „ჩვენში, კოროჩანსკის რაიონში, ძალები ბევრი გვაყავს, მიწა კი არ გვყოფნის. მარცალია, ჩვენც კარგად ვცხოვრობთ“.

მარტო თავისი პირადი ინტერესებისათვის როდი სწუხს ბოგომაზოვა. პატიოსან კოლმეურნე ქალს უნდა, რომ უფრო მეტად აყვავდეს და განმტკიცდეს საბჭოთა მიწა-წყალი. აი რატომ გამოდის იგი წინადადებით მშობლიური საბჭოთა მორეულ აღმოსავლეთში დასახლების შესახებ. „...იმისათვის, რომ მთელი მიწა იძლეოდეს ნაყოფს, საჭმე ასე უნდა მოვაწყოთ, რომ შორეული აღმოსავლეთის მიწაზე ჩვენი ძალა მუშაობდეს“.

ასე იქმნება ურთიერთკავშირი გამოფენაზე, ასე ხდება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხის კოლმეურნეთა დაახლოება და გაცნობა. ასე ეწყობა გამოცდილების გაზიარება. სოციალისტური შეჯიბრება უკრაინასა და საქართველოს შორის წინათაც სწარმოებდა. საქართველოს კოლმეურნეთა დელეგაციები ნახულობდნენ უკრაინას. უკრაინის კოლმეურნეები ყოფილან ხოლმე კავკასიაში. მაგრამ ეს იყო ცალკეული დელეგაციები, რომლებმაც ინახულეს ცალკეული კოლმეურნეობები. გამოფენაზე კი უკრაინისა და საქართველოს პავილიონები თითქმის ერთიმეორის გვერდით დგანან, და ათასობით უკრაინელი კოლმეურნე გაიცნობს საქართველოს მოწინავეებს. და ათასობით ქართველი კოლმეურნე ნახავს უკრაინის პავილიონს. ისინი მარტო მნახველები როდი იქნებიან. ისინი სოციალისტური შეჯიბრების თავგამოდებული კონტროლიორებიც იქნებიან. გამოფენა მძლავრ ბიძგს მისცემს შეჯიბრებას და უფრო მეტად განამტკიცებს რესპუბლიკათა ძმურ კავშირს.

გამოფენაზე ნაჩვენებია საუკეთესო, მოწინავე მეურნეობები. ამ მეურნეობებით სამართლიანად ამაყობს ჩვენი ქვეყანა. მათი დაშსახურება უდავოა. პატივი მათ და პირველ ადგილი. მაგრამ გამოფენას, როგორც სოციალისტური შეჯიბრების დიად ორგანიზატორს, დასახული აქვს უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ჩამორჩენილი კოლმეურნეობების აყვანა მოწინავეთა დონემდე. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის დამსახურებული პატივის მიგების დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ჩამორჩენილები. მათთვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს. გამოფენაზე წარმოდგენილია თხუთმეტ ათასზე მეტი კოლმეურნეობა, გამოფენა კი მოწყობილია ჩვენი ქვეყნის 240 ათასივე კოლმეურნეობისათვის, მთელი გლეხობისათვის, რომელიც პატიოსნად მუშაობს საკოლმეურნეო მიწაზე, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გამოცდილების დიადი სკოლაა. ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს გამოცდილება გადასცეს ძილიონებს, თვითეული კოლმეურნე — გამოფენის მნახველი გახადოს აგიტატორად მოწინავე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისათვის, 1939 წელს ისე გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება, რომ 1940 წელს გამოფენაზე მონაწილეობის პატივისათვის იბრძოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მილიონობით, ათეულ მილიონობით კოლმეურნეები.

„პრავდის“ მოწინავე, 4/VIII.

მესამე ხუთწლედის სესხზე ხელისმოწერა უდიდესი წარმატებით გრძელდება

სესხზე ხელმოწერის ორი დღის შედეგები საქართველოში

შემნახველი სალაროების ცენტრალურ სამმართველოში 3 აგვისტოს ღამის 12 საათისათვის დაჯამებული ცნობებიდან ირკვევა, რომ წელს ახალი სესხის რეალიზაციის ტემპები ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე წინა წლებში იყო. 3 აგვისტოს საღამოსათვის (ე. ი. ორ დღეში) საქართველოში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 73.783.000 მანეთს, მაშინ როდესაც წინა წლის სახელმწიფო სესხის რეალიზაციის თანხა პირველ ორ დღეში შეადგენდა 63.163.000 მანეთს.

განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა ქალაქად. 3 აგვისტოს საღამოსათვის რესპუბლიკის ქალაქებში სესხზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 67.472.000 მანეთს, ხოლო სოფლებში 6.311.000 მანეთს. გასულ წელს ამავე დროის განმავლობაში ქალაქად რეალიზებული იყო 57.233.000 მანეთის სესხი, ხოლო სოფლად 5.930.000 მანეთისა.

რესპუბლიკის ზოგი რაიონიდან შემნახველი სალაროების ცენტრალურ სამმართველოს კვლავ არ მიუღია ცნობები სესხზე ხელმოწერის მიმდინარეობის შესახებ. სესხის რეალიზაციის მიმდინარეობაზე ცნობებს არ ჰგზავნიან: ამბროლაურის, საჩხერის, ჩხარის, ფოთის და ყაზბეგის რაიონები.

ახალი სესხის რეალიზაცია თბილისში

ხელმოწერის თანხამ 38 მილიონს გადააჭარბა

4 აგვისტოს ღამის 10 საათისათვის შეჯამებული ცნობებით, თბილისში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ სამი დღის განმავლობაში მიაღწია 38.009.885 მანეთს. ახალ სესხზე ხელმომწერთა რიცხვი კი 144.182 კაცამდე ავიდა.

ლენინის რაიონში სესხზე ხელმოწერის თანხა უდრის 5.323.310 მანეთს, სტალინის რაიონში — 7.221.930 მანეთს, 26 კომისრის რაიონში — 4.103.170 მანეთს. ორჯონიკიძის რაიონში — 3.525.945 მანეთს, კიროვის რაიონში—4.378.235 მანეთს, ბერიას რაიონში—9.557.095 მანეთს და მოლოტოვის რაიონში — 3.900.200 მანეთს.

გასული წლის სესხის რეალიზაციის პირველი სამი დღის განმავლობაში ხელმოწერის თანხა 32.972.000 მანეთს უდრიდა.

ჯყიბულის მაღაროებში

ახალი სესხის გამოშვების შესახებ ცნობის მიღებამ ტყიბულის მაღაროები ახალი სიხარულით აღაესო. სახელდახელო მიტინგების შემდეგ დაიწყო სესხზე ხელისმოწერა. მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულმა სტახანოველმა მწერეველმა შალვა ფურცხვანიძემ ხელი მოაწერა 800 მანეთის სესხზე, ასევე სტახანოველებმა, შალვა ჩახიძემ, გოორგი ბარკოევმა, შალვა ჯახიძემ და სხვ.

2-3 საათში სესხზე ხელი მოაწერა 448 კაცმა 111.325 მანეთის რაოდენობით. 3 აგვისტოს დღის 12 საათისათვის რაიონში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 3832 კაცს. გავრცელებულია 548680 მანეთის სესხი. გასულ წელთან შედარებით წელს სესხზე ხელისმოწერა უფრო დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

დ. საბელაშვილი

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებში

2 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის ფაბრიკა — ქარხნებსა და კოლმეურნეობებში შესდგა სახელდახელო მიტინგები, მიძღვნილი მთავრობის დადგენილებისადმი.

დადგენილების გაცნობის შემდეგ დაიწყო ხელისმოწერა სესხზე. ეხგურის ქაღალდის ფაბრიკაში ერთი საათის განმავლობაში ხელი მოაწერეს 21.000 მანეთის სესხზე. ორასანტიის მილიონერ კოლმეურნეობაში სესხზე ხელი მოაწერა 135 კოლმეურნემ 15.100 მანეთის რაოდენობით.

სოფელ აბასთუმნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ხელი მოწერილია 17.680 მანეთის სესხზე, სოფელ ცაიშში 147 კოლმეურნემ ხელი მოაწერა 11.765 მანეთის სესხზე. კოლმეურნეობებში ხელი მოწერილია სულ 167000 მანეთზე. რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 795.000 მანეთის სესხზე. რაიონში გავრცელებულია სულ 990 ათასი მანეთის სესხი. გასულ წელს ამ დროისათვის გავრცელებული იყო 660 ათასი მანეთის სესხი.

ს. ებრალიძე

სესხზე ხელისმოწერა წარმატებით მიმდინარეობს

ორჯონიკიძის რაიონის ყველა საწარმო-დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელისმოწერა. სოფელ კიცხის პირველი უბნის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებმა: მ. გაგოშიძემ, ზვიადაძემ და ლ. გაგოშიძემ სესხზე ხუთი მოაწერეს ორი კვირის საშუალო შემოსავლის რაოდენობით.

ახალ სესხზე ხელისმოწერის საქმეში მოწინავეთა რიგებშია სოფელ ბორის ამხ. ს. მ. კიროვის სახელობის, ლაშეს, ღვერკის და თეთრწყაროს კოლმეურნეობები, სადაც ძირითადად უკვე დაამთავრეს სესხზე ხელისმოწერა.

სესხზე ხელისმოწერა ორგანიზებულად ჩატარდა მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკაში. აქ 429 კაცმა ხელი მოაწერა 95.000 მანეთის სესხზე.

3 აგვისტოს საღამოს 10 საათისათვის რაიონში სესხზე ხელისმოწერა 426.000 მანეთს შეადგენდა. მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებული იყო 312.000 მანეთის სესხი, ხოლო კოლმეურნეთა შორის 114.000 მანეთისა.

დავ. გაბრიაძე

მზიურა აჭარაში

(ბათუმი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ორი დღის განმავლობაში მთელს აჭარაში სესხზე ხელი მოაწერა 31155 კაცმა 6031 ათას მანეთის რაოდენობით. 2-3 აგვისტოს მუშა-მოსამსახურეებს შორის გავრცელებული იყო 5606 ათასი მანეთის სესხი. სოფლად კი 424 ათასი მანეთის. 3 აგვისტოს ხელისმოწერა უკვე დაამთავრეს ბათუმის ნავთსახდელ ქარხანაში, „გლავნეფტის“ ბათუმის ბაზაში, რკინიგზის სახალხო სადგურში, ლიანდაგის დარგში, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოებში და სხვ.

წარმატებით დაამთავრეს სესხზე ხელისმოწერა ბათუმის რაიონის ანდრეევის, XVIII პარტყრილობის, პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ“ და სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. 4 აგვისტოსათვის ქალაქ ბათუმში გავრცელებული იყო 4361 ათასი მანეთის სესხი, ბათუმის რაიონში (ქალაქის გამოკლებით) — 653 ათასი მანეთისა, ქობულეთის რაიონში — 772 ათასი მანეთისა, ქედის რაიონში — 116 ათასი მანეთისა, ხულოს რაიონში — 129 ათასი მანეთისა.

კ. დოგორჯგინიძე

სესხზე ხელისმოწერა ოპერის თეატრში

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის თანამშრომლების საერთო მიტინგზე მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვების) შესახებ ინფორმაციით გამოვიდა თეატრის დირექტორი ამხ. მაისურაძე. მან დამსწრეთ გააცნო მთავრობის დადგენილება სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ და სესხის გავრცელების პირობები.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი დირიჟორი ამხ. შ. აზმაიფარაშვილი. მან განაცხადა:

— მე სიამოვნებით ვაწერ ხელს ერთი თვის ხელფასზე 1.500 მანეთის რაოდენობით.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ორდენოსანმა რეჟისორმა ამხ. შ. აღსაბაძემ სურვილი განაცხადა ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასზე 1.500 მანეთის რაოდენობით.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ეგიანი, ალექსანდროვი, გრიგორიანი და მზითარიანი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ორგანიზებულად დაიწყო ხელისმოწერა. თანამშრომლების უმრავლესობამ ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასზე. თეატრის დირექტორმა ამხ. მაისურაძემ ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასზე 1.200 მანეთის რაოდენობით, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა, ორდენოსნებმა ამხ. ანდღულაძემ და ქუმსიაშვილმა ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასზე თითოეულმა 3.500 მანეთის რაოდენობით. მსახიობებმა ამხ. ლ. კავსაძემ, ცირილაძემ, ბუთხუზმა, ელიოზიშვილმა, რეჟისორმა ყურულმა და დირიჟორმა დიმიტრიადმ ხელი მოაწერეს თითო თვის ხელფასზე.

ჭუთაისის სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველები ხელს აწერენ ახალ სესხს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.
საქფოტოქრონიკა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის № ნაწილში

დანაყოფებს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა მებრძოლი,მეთაური და პოლიტმუშაკი მიტინგზე შეიკრიბა. მიტინგი გახსნა ამხ. ნ. გარსევანიშვილმა.

მიტინგზე გამოსულნი მებრძოლები და მეთაურები ერთხმად იწონებდნენ საკავშირო სახკომსაბჭოს დადგინილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. მიტინგზე გამოსულმა წითელარმიელმა ამხ. პროგრამა სთქვა: — ჩვენ დიდი ენტუზიაზმით მოვაწერთ ხელს ახალ სესხს. ჩვენ ვიცით, რომ სესხიდან შემოსული სახსრები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცების, სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს მოხმარდება.

მჭუხარე ტაშითა და წითელარმიელური ვაშას ძახილით დამთავრდა მიტინგი. მაშინვე დაიწყო სესხზე ხელისმოწერა. ნაწილის მეთაურმა, კომისარმა და პოლიტმუშაკებმა სესხზე ხელი მოაწერეს ერთი თვის ან თვენახევრის ხელფასის რაოდენობით. 2 აგვისტოს დღის 12 საათისათვის სესხზე ხელისმოწერა დამთავრებული იყო.

რ. ქადაგიშვილი

ხელი მოწერილია 1.727.698 მანეთის სესხზე

ჯიათურა, 4 აგვისტო (ტელეფონით სკკ. კორ.). ჯიათურის რაიონში ახალ სესხზე ხელისმოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ჭიათურა-მაღაროებსა და კოლმეურნეობებში 4 აგვისტოს საღამოს 5 საათისათვის ხელისმოწერამ 1.727.698 მანეთს მიაღწია.

სესხზე ხელისმოწერა გრძელდება.

ლ. ლოლაძე

უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა შეხვედრა გამოფენაზე

მოსკოვი, 4 აგვისტო (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 4 აგვისტოს გამოფენის ტერიტორიაზე შესდგა უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა — გამოფენის მონაწილეთა შეხვედრა. უკრაინელებმა მიიწვიეს საქართველოს კოლმეურნეები **თავიანთ** პავილიონში, უჩვენეს საუცხოო ექსპონატები, რომლებიც ასახავენ უკრაინელი ხალხის გამარჯვებათა სიდიადეს. გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კლიმენკო მხურვალედ მიესალმა სტუმრებს, უამბო მათ კოლმეურნეობის მიღწევებზე, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობასთან სოცშეჯიბრების შედეგებზე.

ქართველი კოლმეურნეები აღტაცებული არიან უკრაინის შესანიშნავი ექსპონატებით. ისინი იწვევენ უკრაინელებს თავიანთ პავილიონში. აქ სტუმრებს გულთბილი სიტყვით ხვდება პავილიონის დირექტორი ამხ. ბუჯიაშვილი. უკრაინელები აღტაცებული არიან საქართველოს ექსპონატებითა და მიღწევებით.

პავილიონის დეტალური დათვალიერების შემდეგ ჩაის კრეფის ცნობილმა ოსტატებმა აიშე გურგენიძემ და ხატიჯე კაკაბაძემ უკრაინელებს უჩვენეს ჩაის კრეფის ტექნიკა პავილიონის პლანტაციაზე. მარიკა ფუნდუკიდი უკრაინელ კოლმეურნე ქალებს ალექსანდრა პალივადას და ანა კისენკოს უკრაინულ ენაზე აძლევს პასუხს კითხვებზე გერანის, ჩაის, ციტრუსების გაშენების შესახებ. მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეებმა ერთად გადაიღეს სურათი. უკრაინელებმა ქართველი კოლმეურნეები მიიპატიჟეს სადილზე, სადაც გულითადად და მეგობრულად უზიარებდნენ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილებას. კოლმეურნეები გრძნობით აღსავსე გამოსვლებში მადლობას უძღვნიდნენ დიდ **სტალინს** შეძლებული ცხოვრებისათვის. ქართველებიდან გამოვიდნენ: ბუჯიაშვილი, არქიტექტორი ჭურდიანი, და სხვ. უკრაინელებიდან გამოვიდნენ: პავილიონის დირექტორი ზაიცევი, ბრიგადირები გოლოტა, ტროხიმ კოვალჩუკი, კისლიარი და სხვ.

უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა შეხვედრა გადაიქცა ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად. შეხვედრის დასასრულს კოლმეურნეებმა ერთმანეთს გადასცეს გამოფენის მონაწილე მოწინავეთა მიერ ხელმოწერილი წერილები, სადაც გადმოცემულია მათი შთაბეჭდილებანი. უკრაინელები სწერენ ჩვენს პავილიონზე: „უკრაინის კოლმეურნეები აღტაცებული არიან ქართველი ხალხის უდიდესი მიღწევებით. პავილიონის ცენტრალურ დარბაზში ჩვენ ვნახეთ ლოზუნგი: **„საქართველო — დიდი სტალინის სამშობლო — ჰყვავის სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ“.** ამ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა სიყვარული ბრძენი მამისა და მასწავლებლისადმი, დიდი **სტალინისადმი“.**

ახალი სესხის ობლიგაციები

სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ ფაბრიკათა სამმართველომ დაამთავრა მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვება) ობლიგაციების პირველი პარტიების დაგზავნა. ობლიგაციები, დაახლოებით 340 მილიონი მანეთის თანხისა, გაეგზავნა ყველა ცენტრალურ და რაიონულ შემნახველ სალაროს. ეს ობლიგაციები განკუთვნილია ნაღდ ფულზე გასაყიდად, აგრეთვე იმ ხელმომწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც ვადამდე გადაიხდიან სესხზე ხელმოწერის მთელ თანხას. შემნახველი სალაროები ამ ობლიგაციებით მოამარაგებენ ყველა საწარმოსა და დაწესებულებას იმ ხელმომწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც ერთი საწარმოდან მეორეში გადადიან სამუშაოდ. (საკდესი).

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

ა.-წ. 2 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბ-მა ს. ე. გრომონმა ერთმანეთს გადასცეს წერილები, იმის შესახებ, რომ ერთი წლის ვადით, 1940 წლის 6 აგვისტომდე, გაუგრძელდეს ვადა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მომჭმედ სავაჭრო შეთანხმებას.

წერილების გადაცემა დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისარიატსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ ა.-წ. 4 აგვისტოს და ძალაში შევიდა. (საკდესი).

უდიდესი ინვესტიციები საქართველოს პავილიონისადმი

მოსკოვი, 4 აგვისტო **(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).** საქართველოს პავილიონისადმი უდიდესი ინტერესი არ სცხრება. ყოველდღიურად იზრდება მნახველთა რაოდენობა. მარტო 3 აგვისტოს ორგანიზებული წესით პავილიონი დაათვალიერა 63 ექსკურსიამ, 9.700 კაცმა. დღეს ნაშუადღევის 4 საათამდე პავილიონი დაათვალიერა 60-ზე მეტმა ექსკურსიამ. პავილიონს ყველა აღტაცებაში მოჰყავს.

ამხ. მ. ი. ალექსეევის დაკრძალვა

4 აგვისტოს დაკრძალეს ჩვენი სამშობლოს ერთგული შვილი, გამომცდელი მფრინავი ამხ. მ. ი. ალექსეევი, რომელიც 27 ივლისს დაიღუპა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საბრძოლო მანქანების გამოჩენილი გამომცდელი, სიმაღლეზე ფრენის შესანიშნავი ოსტატი მ. ი. ალექსეევი უკანასკნელად გააცილეს ცნობილმა მფრინავებმა, მისმა ამხანაგებმა, რომლებთან ერთადაც იგი მუშაობდა, ნათესავებმა და ახლობლებმა. ნოემბერიჩის სასაფლაოზე სამგლოვიარო მიტინგი შესდგა. გულთბილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კუზნეცოვმა. სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე განსვენებულის მეგობრებმა, რომლებმაც დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მოგონებანი მ. ი. ალექსეევის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ცოდნა მოახმარა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ძლიერი წვიმები დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 4 აგვისტო (საკდესი). ბრიტანეთში იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მეცია-დან (საფრანგეთი) იუწყება, რომ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დასავლეთ გერმანიაში კოკის-პირული წვიმა მ

უფრო მაღლა ავწიოთ საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეობათა შეჯიბრების დროშა

უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი არტელის კოლმეურნეთა ღია წერილი საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის არტელ „შრომის“ კოლმეურნეებს

ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

შესანიშნავი წელიწადი გავიდა იმ სამახსოვრო დღეების შემდეგ, როდესაც ჩვენი ორივე არტელის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი გრძნობით, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების სანიმუშოდ ჩატარებისათვის, კოლმეურნეობების კიდევ უფრო მეტი აყვავებისათვის, მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. ეს იყო შესანიშნავ მოვლენათა წელიწადი, ბოლშევიკურ გამარჯვებათა წელიწადი, ხასანის ტბის რაიონში იაპონელი სამურაების სასტიკი განადგურების წელიწადი. ეს იყო ჩვენი მშობლიური საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიული XVIII ყრილობის მოწვევის წელიწადი; ამ წელს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მიიღო სტალინური, გენიალურად - გამჭრიახი, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის ღრმა მზრუნველობით გამსჭვალული გადაწყვეტილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაყენებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“; ამ წელს პარტიამ და მთავრობამ გამოიტანეს ბრძნული დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს წელიწადი სამუდამოდ შეეჭა **სტალინის** სახელობის ჩვენი კოლმეურნეობის მატიანეში, როგორც ჩვენს მიერ საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ჯილდოს — **ლენინის** ორდენის მიღების წელიწადი, როგორც საბჭოთა კავშირის ორდენებით კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველთა — ჩვენი არტელის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თედორე კლიმენკოს, მწველელი ქალის განნა მიკიტენკოს და მებაღის ქალის მართა კოვბასას დაჯილდოების წელიწადი.

მიღებული მაღალი ჯილდოთი ბედნიერნი და ამაყნი, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სტალინური გადაწყვეტილებებით და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების კეთილდღეობისათვის პარტიის, მთავრობისა და ჩვენი მშობლიური, უსაზღვროდ საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის **სტალინის** მამობრივი მზრუნველობით აღფრთოვანებულნი და ფრთაშესხმულნი, ჩვენ ვმუშაობდით და ვმუშაობთ გაათკეცებული ენერგიით, რათა მივაღწიოთ ახალ სტახანოვურ გამარჯვებებს. უდიდესი სიხარულის გრძნობით გაცნობებთ, რომ, დავამთავრეთ რა მოსავლის აღება და შევაჯამეთ პურის აღების წინასწარი შედეგები, ჩვენ დავრწმუნდით, რომ **ღირსეულად შევასრულეთ ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენ ავიღეთ თქვენს კოლმეურნეობასთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით.**

მარცვლეულის ფართობზე — 3.280 ჰექტარზე ჩვენ ავიღეთ საშუალოდ 18 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარიდან. 1.700 ჰექტარ ხორბლის ნათესებზე ჩვენ გვაქვს საშუალოდ 23 ცენტნერზე მეტი მოსავალი ჰექტარიდან. ამხანაგ ფილიპე სეჩინის, ალექსი ფიშჩენკოს და დავით ონიშჩენკოს ბრიგადებში ცალკეულ ნაკვეთებზე, რომელთა საერთო ფართობია 250 ჰექტარი, ხორბლის საშუალო მოსავალი აღწევს 30 ცენტნერს ჰექტარზე. ასეთია პატიოსანი კოლექტიური შრომის ნაყოფი.

საამური და სასიხარულოა საუცხოო მარცვლის ოქროსფერი ნაკადის ცქერა. წმინდად ვიცავდით რა საკოლმეურნეო წყობილების პირველ მცნებას საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების პირველ რიგში შესრულების შესახებ, მოსავლის აღების დაწყების მეხუთე დღეს შევასრულეთ სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა და ელევატორებს ჩავაბარეთ 5.035 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ჯიშიანი მარცვალი. გარდა ამისა, ჩვენ უკვე გავიტანეთ მტს-ის ნატურანაზღაურების ანგარიშში მის მიერ წარმოებული სამუშაოებისათვის 10 ათასი ცენტნერი მარცვალი. ჩვენ წინასწარ გამოვიანგარიშეთ, რომ კოლმეურნეები, ნაცვლად შარშანდელი 10 ათასი ცენტნერი პურისა, მიმდინარე წელს მიჰყიდიან სახელმწიფოს არანაკლებ 14-15 ათასი ცენტნერისა. ჩვენ მთლიანად ვასრულებთ აგრეთვე ვალდებულებებს მეცხოველეობის დარგშიც. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება მივაღწიოთ წლიურ საშუალო წველადობას 3.500 ლიტრი რძის რაოდენობით თვითეულ ძროხაზე. 6 თვის განმავლობაში ჩვენ 237 ძროხიდან მივიღეთ 435.509 ლიტრი რძე, რაც შეადგენს 1.837 ლიტრ რძეს თვითეულ ძროხაზე.

ჩვენ ავიღეთ ვალდებულება წლის განმავლობაში მივაღწიოთ 20 საქმიან გოჭს თვითეული დედაღორიდან. საგაზაფხულო დაგოჭიანების შედეგად ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 11 საქმიანი გოჭი თვითეულ დედაღორზე. მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ საშემოდგომო დაგოჭიანება ნაკლებ შედეგებს არ მოგვცემს.

ჩვენ ავიღეთ ვალდებულება მივიღოთ 135 საქმიანი ბატკანი თვითეულ 100 დედაცხვარზე. ეს ვალდებულებაც ჩვენ მთლიანად შევასრულეთ. ორის 135 ბატკანი თვითეულ 100 დედაცხვარზე!

ჩვენს კოლმეურნეობას ამჟამად ჰყავს 560 ცხენი, 900 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 800 ღორი და 10 ათასი ცხვარი. ორ მილიონ მანეთამდე შემოსავალს მოგვცემს წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის წინაშე სახავს ჩვენი მეურნეობის შემოსავლიანობის შემდგომი გადიდების პერსპექტივას ფერმებში პირუტყვის სულადობის მკვეთრი ზრდის ხარჯზე.

გამოგვაქვს რა კონკრეტული პრაქტიკული დასკვნები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან საკოლმეურნეო მეცხოველეობის შესახებ, ჩვენ გადავწყვიტეთ, მარშანდელი 7 ათასი ცენტნერი მარცვლეულის ნაცვლად, მიმდინარე წელს საფურაჟე ფონდში გადავდოთ სულ ცოტა 10 ათასი ცენტნერი მარცვალი, რომ უზრუნველვყოთ მეცხოველეობა მტკიცე საკვები ბაზით. წინასწარი გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ მიმდინარე წელს თვითეულ შრომადღეზე გაცემული იქნება 5 კილოგრამი მარცვალი, როგორც შარშან, და 6 მანეთი ფულად, ნაცვლად შარშანდელი 5 მანეთისა.

მიმდინარე წლის მოსავალი შესაძლებლობას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლის გაცემა შრომადღეზე, მაგრამ კოლმეურნეებმა, რომელთა შორის ბევრს კიდევ აქვს შარშანდელი პურის დიდი მარაგი, გადასწყვიტეს გაიცეს მარცვალი გასული წლის დონის მიხედვით, ხოლო პურის დამატებითი რეზერვები გამოიყენონ ნაწილობრივ სახელმწიფოსათვის მისაყიდად, რომ ამაღლონ შრომადღის ფულადი ღირებულება, ხოლო ნაწილობრივ გადასდონ, როგორც უკვე ვთქვით, საფურაჟე ფონდის გასადიდებლად.

ჩვენი წარმატებების საფუძველს წარმოადგენს საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ და განუხრელად დაცვა და კოლმეურნეთა მთელი მასის პატიოსანი მუშაობა საზოგადოებრივ მეურნეობაში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის ჩატარების დროს რაიონულ კომისიას არ აღმოუჩენია საკარმიდამო მიწათსარგებლობის საწესდებო ნორმების დარღვევის არცერთი შემთხვევა არცერთ კომლში ჩვენი კოლმეურნეობის 657 კომლიდან.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მუდამ ვაფარმოებდით და ვაფარმოებთ სწორ პოლიტიკას, არ ვუშვებთ არავითარ დათმობას კერძო მესაკუთრული ტენდენციებისადმი, არ ვუშვებთ არცერთი მეტრი საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მიწის განიავებას.

წლის პირველ ნახევარში არტელის თითეულ შრომისუნარიან წევრს გამომუშავებული აქვს 125 შრომადღე და ეს გვაქვს მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ჩვენ გამომუშავების ნორმები გავადიდეთ საშუალოდ 15 პროცენტით. განუხრელად გაიზარდნენ ჩვენი კოლმეურნეობის ადამიანები. კოლმეურნეობა მთლიანად დამტკიცებულია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის — სოციალისტური მიწათმოქმედების ბოლშევიკური გამარჯვებათა ამ დიადი დათვალიერების მონაწილედ. 75 საუკეთესო სტახანოველი გამოვყავით გამოფენაზე წასასვლელად.

კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები შედიან ლენინურ-სტალინური პარტიისა და კომკავშირის რიგებში. ნახევარი წლის განმავლობაში კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია 17 კაციდან გაიზარდა 44 კაცამდე, ხოლო კომკავშირული ორგანიზაცია — 150-დან 223 კაცამდე.

ჩვენი პარტიულები არიან კოლმეურნე მასების ნამდვილი ბოლშევიკური წინამძღოლები, რომლებიც ყველა კოლმეურნეს უჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს.

ხასანის ტბის რაიონში ჩვენი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა მოახლოებულ საბოლოვან წლისთავს ჩვენი კოლმეურნეობა ხვდება მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დიდი აღმავლობით.

კოლმეურნეობის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის რიგებში ითვლება 717 კაცი. ჩვენ გვყავს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის 283 ნიშნოსანი, მსთ 294 ნიშნოსანი, მშთ 75 ნიშნოსანი, 69 ვოროშილოვისებური მსროლელი და ვოროშილოვისებურ მხედართა ოცეული. გარდა ამისა, 230 კაცი სწავლობს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის წრეებში, 330 კაცი — მსთ წრეებში და 130 კაცი — ვოროშილოვისებურ მსროლელთა წრეებში.

24 ქალიშვილი სწავლობს ტრაქტორის მართვას.

წითელ არმიაში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მომავალი გაწვევისათვის ჩვენ მოვამზადებთ საიმედო შევსება, რომელიც შესდგება წერა-კითხვის მცოდნე, სამხედრო საქმის კარგად მცოდნე ახალგაზრდებისაგან, რომლებიც უსაზღვროდ ერთგული არიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოსი, ბოლშევიკური პარტიისა, საბჭოთა მთავრობისა, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისა.**

ძვირფასო ამხანაგებო, არტელ „შრომის“ კოლმეურნეებო! 1 აგვისტოს მოსკოვში იხსნება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მომდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენი დიადი სამშობლოს გულში — წითელ დედაქალაქში, მოსკოვში შეიკრიბება კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობა. ამ მოვლენათა მოახლოება ღრმად აღელვებს და ახარებს მილიონობით კოლმეურნეების — მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების გულებს. დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში კოლმეურნეთა ყრილობის შესახვედრად იზრდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობის მძლავრი ტალღა. ათეულ მილიონობით კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები უდიდესი ენტუზიაზმით იბრძვიან იმისათვის, რომ კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობას შეხვდნენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით.

გაცნობებთ რა ჩვენი მუშაობის შესახებ, მოგიწოდებთ ჩვენს კოლმეურნეობებს შორის უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის პატივსაცემად, რომ ყრილობისთვის მივაღწიოთ უფრო მეტ გამარჯვებებსა და წარმატებებს, უფრო მეტად განვამტკიცოთ სტალინური მეგობრობა მზიანი საქართველოს და აყვავებული უკრაინის ხალხებს შორის.

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს ყრილობის პატივსაცემად შევავსოთ ჩვენი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ახალი გადიდებული ვალდებულებებით გვიანი და ტექნიკური კულტურების აღებისა და სამომდგომო თესვის სანიმუშოდ სტახანოვურად ჩატარების შესახებ, 1940 წლისათვის საგაზაფხულო კულტურების ნიადაგის მაღალხარისხოვნად მომზადების შესახებ, საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი განვითარების შესახებ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში 1940 წელს უფრო ფართო მონაწილეობის მიღების შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის **მაისის** პლენუმის გადაწყვეტილებათა მთლიანად და სანიმუშოდ შესრულების შესახებ, მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის უფრო მეტი აღმავლობის შესახებ.

ჩვენ ვავალებთ მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიმავალ ჩვენს ამხანაგებს შეხვდნენ იქ თქვენი კოლმეურნეობის წარმომადგენლებს, რომლებიც ავრეთვე მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში, და ერთად განიხილონ და მიიღონ კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის საპატივცემო შეჯიბრების კონკრეტული პირობები.

გთხოვთ ასეთივე დავალება მისცეთ თქვენი კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც გამოფენაზე წაგლენ.

ველით თქვენს პასუხს ჩვენს წერილზე, ველით დაწვრილებით ცნობას თქვენს წარმატებებზე.

გიძღვნით მხურვალე ძმურ სალამს!

გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეებს!

გაუმარჯოს კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობას!

გაუმარჯოს კოლმეურნე გლეხობის და მთელი ბედნიერი საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, მამას, მასწავლებელსა და მეგობარს, ჩვენს ბრძენს, მშობლიურს, უსაზღვროდ საყვარელ ამხანაგ **სტალინს!**

კოლმეურნეთა დავალებით წერილს ხელს აწერენ: **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი **ფ. კლიმენკო,** პარტბიუროს მდივანი **ტ. ზაკარლიუკა,** კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი **დ. გავრილენკო,** კოლმეურნეობის აგრონომი **ვ. ტუიახოვი,** მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები: **ა. ციომაშკო, დ. ონიშჩენკო, ფ. სეჩინი, ა. ფიშჩენკო,** ვეტერინარი-ფერშალი **ფ. ლახნი,** მეცხოველეობის ბრიგადირი **ი. კოსტენკო,** სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **ი. ზდორიკი,** მწყემსების ბრიგადირი **ე. რუდენკო,** ბამბის დარგში რგოლის ხელმძღვანელები: **ლ. ბოგდუი, მ. სტრიუკოვა, ა. კოვალევა,** საჯარიშე საჯარისების გამგე **ფ. სტრიუკი,** კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები: **პ. ჩერნენკო, ნ. სოლოგუბი, გ. სეჩინი, ი. ლავრენტიევი, ა. საილენკო, ვ. შჩერბაკი, ა. კრავჩენკო, ფ. პოპრუნი.**

დნეპროპეტროვსკი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია დაიწყო

სოხუმი, 4 აგვისტო (საქტასი). 4 აგვისტოს, საღამოს, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. მ. ჰოჭუამ. იგი აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის განსახილველად შეტანილი საკითხების სიას.

დეპუტატ გ. ხვიჩიას წინადადება შეაქვს, რომ განსახილველად წარდგენილი საკითხები შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში.

უმაღლესი საბჭოს სესია ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. აფხაზეთის ასსრ 1939 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და აფხაზეთის ასსრ 1937 და 1938 წლების ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება.

2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები.

3. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

4. „აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების“ დამტკიცება.

5. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველიდან მეორე სესიამდე, და რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით მოვიდა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. კ. მათითაშვილი.

თავისი მოხსენების შესავალი ნაწილი მან მიუძღვნა საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდეს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ეს უდიდესი მიღწევები,—ამბობს ამხ. მათითაშვილი, — წარმოადგენენ შედეგს ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისას, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ტარდება. **(დარბაზში გრიალებს მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა დეპუტატი ფეხზე დგება.)**

როდესაც მომხსენებელი ლაპარაკობს საქართველოს სსრ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია ქართველი ხალხის ერთგული შვილის, ურყევი სტალინელის, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით, დარბაზში კვლავ მქუხარე ტაში გრიალებს.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა უზრუნველჰყვეს აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სწრაფი ზრდა. 1939 წლის ბიუჯეტი,—ამბობს ამხ. მათითაშვილი,—რომელიც შემოტანილია სესიის განსახილველად, 77.864.000 მანეთს შეადგენს.

ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

ფეროშენაღნობთა ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

ზესტაფონი, 4 აგვისტო (ტელეფონით საკ. კორ.). სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის ამხ. შერკულოვის ბრძანებით ფეროშენადნობთა ქარხნის 27 წარჩინებული ადამიანი დაჯილდოებულია სპატიო ნიშნითა და ქების ფურცლით. დაჯილდოებულთა შორის არიან: ქარხნის დირექტორი ამხ. ივ. კეკელიძე, სადნობი საამქროს ბრიგადირი ლ. ბერეგვაძე, უფროსი ოსტატი ვლ. გვალია, მოლიბდენის საამქროს ცვლის უფროსი, ინჟინერი ქალი ლ. ქათამაძე, ამავე საამქროს მდნობელი გ. კაპანაძე, ინჟ. კ. მელაძე და სხვები.

ეს ჯილდო მათ მიეცათ ნახევარი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივმა ნატურპროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა კი — 109,8 პროცენტით.

3 აგვისტოს ქარხნის მუშაკთა დაჯილდოების საპასუხოდ შესდგა სახელდახელო მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ დაჯილდოებული ამხანაგები ლ. ქათამაძე, თ. ახობაძე, რ. ცაგარეიშვილი, შ. აბაშიძე, ივ. კოვანი და სხვ.

მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და ახალი შენობების ათვისებისათვის ქარხნის ხელმძღვანელი ამხანაგები დაჯილდოებული არიან აგრეთვე თითოეული ხელფასით.

ჯილდომ ქარხნის მუშათა შორის შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ვ. გოგიაშვილი

საბავშვო რკინიგზების ხელმძღვანელთა სრულიად-საკავშირო თათბირზე

10 აგვისტოს მოსკოვში შესდგება საბავშვო რკინიგზების ხელმძღვანელების სრულიად-საკავშირო თათბირი, რომელსაც აწყობს გზათა სახალხო კომისარიატი.

თათბირზე გაემგზავრა თბილისის საბავშვო რკინიგზის დელეგაცია; ეს გზა პირველი საბავშვო რკინიგზაა სსრ კავშირში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის დირექტორი ამხ. მ. რ. რუსლანოვი და მისი მოადგილე კ. ნ. ვაისერმანი. მოსკოვში მათ შეუერთდებიან თბილისის საბავშვო რკინიგზის ნორჩი რკინიგზელები, რომლებიც ამასწინათ გაემგზავრნენ დნეპროპეტროვსკს მცირე სტალინური რკინიგზის კოლექტივთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

თათბირი გაიმართება რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში. თათბირის მიზანია საბავშვო რკინიგზების საერთო ხელმძღვანელობის მოწყობა. გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის წესით ხელმძღვანელები ანგარიშს ჩააბარებენ თავიანთი გზის მუშაობის შესახებ. ამას გარდა, კ. ნ. ვაისერმანმა მიიღო პერსონალური წინადადება კონსულტაცია მისცეს თათბირის მონაწილეთ მოსკოვში საბავშვო რკინიგზის მშენებლობის საკითხებზე. (საკავში).

ე. მოზჟუხინი

ხასანის ტბასთან იაპონელთა განადგურების წლისთავისათვის

6 აგვისტოს წითელდროშოვანი პირველი ცალკე არმია მთელ წითელ არმიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავს სიმაღლე ზაოზერნაიას გენერალური იერიშის დღეს, იაპონელი იმპერიალისტების განადგურების დღეს, რომლებმაც მოინდომეს საბჭოთა ტერიტორიის ნაკვეთის დაპყრობა ხასანის ტბასთან. წითელი არმიის ნაწილებმა ამ დღეს საგნობრივი გაკვეთილი მისცეს იაპონელ მილიტარისტებს, რომ შემდეგში მათ დაეკარგოთ ხალისი შემოსჩარონ თავიანთი ცხვირი საბჭოთა ბოსტანში.

საბჭოთა კავშირის საზღვარზე პროვოკაციას რომ ამზადებდა, იაპონიის სამხედრო ხროვა წინასწარ ამუშავებდა საზოგადოებრივ აზრს მოჭრილი ომებით საბჭოთა მესაზღვრეების მიერ საზღვრის დარღვევის შესახებ, ავრცელებდა ვერსიას იმის შესახებ, რომ სოპკა ზაოზერნაია (ჩანკუფინი) ეკუთვნის... იაპონელებს. როდესაც იაპონიის ელჩმა სიგემიცუმ ჯერ კიდევ 20 ივლისს ოფიციალურად წარუდგინა საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი სიმაღლე ზაოზერნაიას გაწმენდის შესახებ, მას დამაჯერებლად განუმარტეს, რომ სოპკის მფლობელობის უფლება ეკუთვნის მხოლოდ საბჭოთა კავშირს და სხვას არავის. დასამტკიცებლად მას წარუდგინეს რუკა, რომელიც დართული აქვს ხუნჰუნის შეთანხმებას. მაგრამ ამის შემდეგაც იაპონელმა იმპერიალისტებმა, როგორც მოჩხუბარმა მამლებმა, მთელი ქვეყნის გასაგონად იყივლეს, რომ ძალით დაიპყრობენ სიმაღლე ზაოზერნაიას.

საომარი მოქმედება დაიწყო 29 ივლისს.

იაპონელ მესაზღვრეთა ასეულმა, დაარღვია რა საზღვარი, სიმაღლე ბეზიმიანაიაზე იერიში მიიტანა საბჭოთა სანაპირო განწესზე 11 კაცის შემადგენლობით. ერთმა მუჭა საბჭოთა ადამიანებმა გმირულად გაუწიეს წინააღმდეგობა მოწინააღმდეგის ბევრად დიდ ძალას. სანაპირო საგუშაგოს რეზერვმა, რომელიც საჩქაროდ გაჩნდა დასახმარებლად, გაჰყარა იაპონელები სიმაღლე ბეზიმიანაიადან.

31 ივლისს იაპონიის სამხედრო ხროვამ საბჭოთა სოპკებზე შესატევად გამოგზავნა მე-19 მსროლელი დივიზიის სველე ნაწილები, წინასწარ თავმოყრილი საზღვართან, ჯავშნოსანი მატარებლებით და მსუბუქი, მძიმე და საზენიტო არტილერიის ნაწილებით.

ჩვენმა მამაცმა მესაზღვრეებმა, დაიწყეს რა ბრძოლა, კვლავ გაუწიეს იაპონელებს გმირული წინააღმდეგობა, მაგრამ ძალები მეტად უთანასწორო იყო და მესაზღვრეებმა უკან დაიხიეს. იაპონელებმა დაიპყრეს ჩვენი ტერიტორიის ნაკვეთი, სიღრმით 4 კილომეტრამდე. სიმაღლეები ზაოზერნაია და ბეზიმიანაია აღმოჩნდნენ იაპონელთა ხელში.

ასე დაიწყო ამბები, რომლებიც გადაიქცნენ თორმეტდღიან ბრძოლებად.

რამ დააწყებინა იაპონიის სამხედრო ხროვას პროვოკაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ?

იაპონიის სამხედრო ხროვას უნდოდა მოესინჯა საბჭოთა კავშირის საზღვრების სიმაგრე და წითელი არმიის ძალა. იაპონიის სამხედრო ხროვას პროვოკაციის მოსაწყობად აქეზებდნენ დასავლეთელი ფაშისტი მეგობრები. ბერლინის ფაშისტურ შტაბს, რომელიც ამზადებდა თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებას ევროპაში, უნდოდა ეჩვენებინა ინგლისისა და საფრანგეთისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ყურადღება მიპყრობილია აღმოსავლეთისაკენ და სსრ კავშირს არ შეუძლია სერიოზული გავლენის მოხდენა დასავლეთის საქმეებზე. მაგრამ ფაშისტების ყველა გეგმა ჩაიფუშა წითელი არმიის ნაწილების პირველი მძლავრი დარტყმისთანავე.

რატომ აირჩია იაპონიის სამხედრო ხროვამ თავისი პროვოკაციისათვის ხასანის ტბის რაიონი?

საკმაოდ უხერხული და მეტად მხდალ იაპონელ გენერლებს, უწინარეს ყოვლისა, იმედი ჰქონდათ, რომ ეს უბანი ყველაზე ნაკლებად არის გამაგრებული, ხოლო სოპკებს ზაოზერნაიას (ჩანკუფინს) და ბეზიმიანაიას აქვთ განსაკუთრებით ძნელი მისასვლელები საბჭოთა მხრიდან. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ასეთ პირობებში წითელი არმია ადვილად დაანებებდა მათ ამ რაიონს, საიდანაც მათ შეეძლებოდათ დამუქრებოდნენ პოსიეტის ბუხტს და წყნარი ოკეანეს მთელ სანაპიროს ვლადივოსტოკის მიმართულებით.

იაპონიის სამხედრო ხროვა წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. სიმაღლიდან უკან დაახევინეს რა ერთ მუჭა მესაზღვრეებს, იაპონელებმა მოელ ქვეყანას აცნობეს ადვილი გამარჯვება. ოფიცრები და გენერლები უკვე ოცნებობდნენ ჯილდოებზე.

განუწყვეტელი წვიმები 4 და 5 აგვისტოს ართულებდნენ ვითარებას წითელი არმიის ნაწილებისათვის, რომლებმაც უკვე დაიწყეს ბრძოლა. მათ მიერ დაკავებული ტერიტორია გადაიქცა მთლიან ჭაობად და იმყოფებოდა იაპონელთა ცეცხლის ქვეშ, რომელსაც ისინი უშენდნენ დაკავებული სიმაღლეებიდან. მაგრამ ამ რთულ პირობებშიც ჩვენმა ნაწილებმა განდევნეს იაპონელები სოპკების ძირამდე. ამავე დროს სწარმოებდა სამხედრო ნაწილებისა და განსაკუთრებით ტექნიკის თავმოყრა ბრძოლის რაიონში. ტაიგით დაფარული სოპკებით, ჭაობებითა და უგზო აღგილებით ხასანისაკენ მოდიოდნენ ტანკები, მსუბუქი და მძიმე არტილერია.

6 აგვისტოს დაიწყო გენერალური ბრძოლა. დილიდანვე დაიწყო საარტილერიო მზადება. ხოლო როდესაც გაიფანტა ბურუსი, რომელიც ჰფარავდა სოპკებს, ცა დაჰფარეს საბჭოთა ქვეყნის ამაყმა შაგარდნებმა. ისინი მიფრინავდნენ ჰაერში მშვიდად, სწორი მწყობრით, სავსეები დარწმუნებულნი თავიანთ ძალაში.

გამანადგურებელი ლითონის ეროშილოვისებური ბათქები ეყრებოდა იაპონელთა პოზიციებს, ჰაერში ჰფანტავდა ქვემეხებისა და სიმაგრეების ნამსხვრევებს, მიწას, ჯარისკაცების გვამებს. ფრთამალი გამანადგურებლები მერცხლებივით დაფარდობდნენ, მოწინააღმდეგის სანგრებს ცხელ ტყვიას აყრიდნენ ტყვიამფრქვევებიდან. ტანკებმა არ აცალეს მტერს გონს მოსულიყო, შეიჭრნენ ბრძოლაში და მრისხანე ქვეითმა ჯარმა დაიწყო გამანადგურებელი იერიში.

სტალინურმა შავარდნებმა საბჭოს გაიმეორეს იერიში და ჰაერში მიწის ვეტერანთან ერთად კვლავ ავარდა იაპონელთა ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ნარჩენები.

წითელი არმიის მებრძოლებმა 6 აგვისტოს ღამე გაატარეს იერიშებში ზაოზერნაიასთვის და მის მწვერვალზე აღმართეს საბჭოთა წითელი დროშა.

შემდეგ დღეებში სწარმოებდა ბრძოლები სიმაღლე ბეზიმიანაიასთვის და ზაოზერნაიას უკანა კალთებისათვის. მოგერიებულ იქნა მრავალრიცხოვანი იერიშები, რომლებსაც იწყებდნენ სამურაები თავიანთი პრესტიჟის აღსადგენად. მაგრამ სამურაების მებრძოლი სული უკვე საკმაოდ გაანელა ტყვიამ და ფოლადმა. მათს დასავლეთელ მეგობრებს თანაგრძნობაც კი არ გამოუთქვამთ. იაპონელები იძულებული გახდნენ ეთხოვათ ზავი.

იაპონიის სამხედრო ხროვისათვის ასე უსახელოდ გათავდა მისი პროვოკაცია ხასანის ტბასთან. წითელი არმიის ნაწილებმა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში ჩასწერეს კიდევ ერთი გმირული ფურცელი და მით დაადასტურეს ამხანაგ სტალინის სიტყვები: „არცერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა. მაგრამ არც ჩვენ მიწას, ჩვენი მიწის არცერთ გოჯს არავის მივცემთ“.

სამშობლოს დამცველებმა გამოიჩინეს გამბედაობის, მამაცობისა და გმირობის ნიმუშები. სტალინის სახელით გულში მიდიოდნენ მებრძოლნი სამურაების პოზიციების საიერიშოდ და კიდეც გაიმარჯვეს. სტალინის სახელი გაისმოდა საბრძოლო ძახილად, რომელიც აღაფრთოვანებდა მებრძოლებს საგმირო საქმეების მოსახდენად თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის.

წითელი დროშა ამაყად ფრიალებს სიმაღლე ზაოზერნაიაზე და უჩვენებს მთელ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის და მისი წითელი არმიის ძალასა და ძლიერებას.

დიადი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი გმირი შვილებით, რომლებმაც გამანადგურებელი პასუხი გასცეს იაპონელ აგრესორ

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გამოცდილების დიადი სკოლაა

სრულიად - საკავშირო სასოფლო -სამეურნეო გამოფენის მონაწილენი (ზევიდან —მარცხნიდან მარჯვნივ): შ. ქათიბაშვილი და მ. გუმბელაძე (თელავის რ., კოლმ. „გზა სოციალიზმისაკენ“), ა. ჯავახიშვილი (თელავის რ., კოლმ. „შრომა“), ს. ოტიაშვილი (ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი), ზ. კოდოევი (სამხრეთ-ოსეთი, ზნაურის კოლმ.), გ. ჯინჭარაძე (ქობულეთის რ., მოლოტოვის სახელობის კოლმ.), ვ. პავლიაშვილი (სიღნაღის რ., სტალინის სახელობის კოლმ.), გ. ქვილორია (მახარაძის რ., ორჯონიკიძის სახელობის კოლმ.).

ჩვენი გამოფენა არა მარტო აჯამებს გამარჯვებათა შედეგებს, არამედ წარმოადგენს აგრეთვე მძლავრ მოწოდებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოციალიზმის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათა დემონსტრაციით ჩვენ ცხადვყოფთ ჩვენი ახალი საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის ორგანიზაციის დიად ძალას.

ვ. მოლოტოვი

ახალი კოლხიდა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის მეორე დარბაზში, რომელიც სუბტროპიკულ მეურნეობათა მრავალფეროვან ექსპონატებს უჭირავს, ფართოდ არის წარმოდგენილი ახალი კოლხიდა. მხატვარ კოლჩეევსკის მიერ შესრულებული დიდი სამფაზიანი დიორამა კოლხიდაზე, სხვადასხვა ძვირფასი ექსპონატები და კოლხიდის ამოშრობისა და ათვისების რუკა, რაც მესამე სტენდზეა მოთავსებული, ნათელ წარმოდგენას აძლევს მნახველს იმაზე, თუ როგორ შეუცვალეს ბოლშევიკებმა სახე და შინაარსი ძველ კოლხიდას.

სულ 220.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს კოლხიდას და ამ ფართობის უმეტესი ნაწილი ათეული საუკუნეების განმავლობაში გაუვალი ჭაობით, ეკლითა და შამბნარით იყო დაფარული.

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს ამ გაუვალი ჭაობის დაშრობა და მასზე სუბტროპიკულ მცენარეთა ბაღნარის გაშენება. გადასწყვიტეს და სიტყვა საქმედ აქციეს. ათმუშავეს ექსკავატორები და სატუმბო სადგურები, გასჭრეს არხები და ნაგუბარ წყალს გზა შავი ზღვისაკენ მიუჩინეს, შემოიღეს ზღვის ზედაპირზე დაბალი ნიადაგების კლიმატაციით (მდინარის ხელოვნური მონატანების გზით) ამაღლება, გაიყვანეს გზები და ბოგირები, საბოლოოდ დაანგრიეს კოლიების ბუდე, რამდენიმე ათასი ჰექტარი ნოყიერი მიწა ჭაობს გამოსტაცეს და იგი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერ ადამიანებს გადასცეს უფასოდ სამუდამო სარგებლობაში.

კოლხიდის ახლად ათვისებულ 18.000 ჰექტარამდე მიწაზე ამჟამად საუკეთესოდ ხარობენ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები. მოკლე ხანში აქ უკვე გაშენდა 700 ჰექტარამდე მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და გრეიპფრუტი, 500 ჰექტარი რამი, 218 ჰექტარი ჩაი, 250 ჰექტარი ევკალიპტი და სხვ.

გაჩაღდა ახალი ცხოვრება ახალ მიწაზე. მცირემიწიანი რაიონებიდან აქ სიხარულით მოეშურებიან დასასახლებლად კოლმეურნეები. მოეწყო და ეწყობა კოლხიდაში ახალი სოციალისტური სოფლები ლამაზი სახლებით და თვალწარმტაცი ბაღნარებით, გზატკეცილებით, წყალსადენებით და ელსადგურებით, სკოლებით, საავადმყოფოებით და ამბულატორიებით.

59.872.000 მანეთზე მეტი დაიხარჯა მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე კოლხიდის ამოშრობასა და ათვისებაზე. მშენებლობის გენერალური გეგმით ბიუჯეტის ხარჯზე გათვალისწინებულია სულ 199.400.000 მანეთის დახარჯვა. გარდა ამისა, პირველი რიგის სამუშაოებით ამოშრობილი მიწების ათვისებაზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 459.000.000 მანეთი. სულ გაყვანილი უნდა იქნას 259 კილომეტრი გადამღობი ნაყარი და 1.165 კილომეტრი არხი, რომელზედაც უნდა შესრულდეს 11.000.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. 1942 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია პირველი რიგის 45.200 ჰექტარი ფართობის ამოშრობა.

ქართველი ხალხის სამამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით, რომელიც ყველგან ნერგავდა მუშაობის სტალინურ სტილს, მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და ათვისების საქმეში. ამჟამად მთელი სამუშაო თავმოყრილია ფოთის ირგელივ.

დიდია მიღწევები. დიდია პერსპექტივებიც.

1947 წლისათვის დაშრობილ მიწაზე კოლხიდაში უნდა გაშენდეს 9,700 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები, 2.200 ჰექტარი რამი, 3.500 ჰექტარი სუბტროპიკული ხეხილი და კეთილშობილი დაფნა, 4.800 ჰექტარი ევკალიპტის ტყე და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური და სპეციალური კულტურები.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო კოლხიდის ახალ მიწაზე გაშენებულმა კოლმეურნეობებმა რვა წლის შემდეგ უნდა მოგვცენ, 4,5 მილიარდამდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 9-ჯერ მეტი, ვიდრე მთელმა რესპუბლიკამ მიმდინარე წელს, 18.000 ტონა სხვადასხვა სუბტროპიკული ხილი, 2.000 ტონა დაფნის ფოთოლი, 1.500 ტონა რამის ლაფანი, ათასობით კუბ. მეტრი ძვირფასი სამშენებლო მასალა. 1938 წელს კოლხიდის კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 23.000.000 მანეთს უდრიდა, 1947 წელს კი იგი მიაღწევს 1 მილიარდ 35 მილიონ მანეთს.

კოლხიდის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი აქვთ ახალ მიწაზე მიღებული სიმდიდრისა და სიუხვის ექსპონატები.

ტ. ჩხაიძე

გამოფენის მონაწილენი ლაგოდეხიდან

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებით, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ დანერგვისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად ლაგოდეხის რაიონის 68 კოლმეურნეობიდან 33 ღირსეული მონაწილე გახდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა.

სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობამ „წითელმა დროშამ“ (თავმჯდომარე — პ. ფედერენკო) რეკორდი დაამყარა თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღების საქმეში. გასულ წელს კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად 10 ცენტნერისა, 21,7 ცენტნერი თამბაქოს მოსავალი აიღო, ხოლო პირველი ხარისხის თამბაქოს დამზადების გეგმა 5-ჯერ გადაჭარბებით შეასრულა. შრომადღეზე მოეტო ფულად 14 მანეთი გაიცა.

ასეთივე წარმატებებით მიდიან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელარმიელი“, სოფელ ერეთისკარის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, სოფელ თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად ლაგოდეხის რაიონიდან დამტკიცებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის 119 წარჩინებული ადამიანი. მათ შორის აღსანიშნავია სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ წევრი მალვა ბატიაშვილი, რომელიც თამბაქოს მეორე შეტენის დღიურ ნორმას 300 პროცენტით ასრულებდა; სოფ. ლელიანის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ვ. კაპანაძე, რომელიც თამბაქოს შეტენის ყოველდღიურ ნორმას აგრეთვე 300 პროცენტით ასრულებს; სოფელ შრომის კოლმეურნეობის სტახანოველი მეთამბაქოე პეტრე შეითნიშვილი, რომელმაც გასულ წელს 750 შრომადღე გამოიმუშავა. ნაცვლად 1250 კვადრატული მეტრისა, იგი ყოველდღიურად 2.100 კვადრატულ მეტრ თამბაქოს თოხნიდა, ნაცვლად 40 კილოგრამისა, 87 კილოგრამ თამბაქოს ახარისხებდა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური მინდვრების დამკვრელი ენტუზიასტი, მოწინავე ტრაქტორისტი ლ. ნადირაძე. შარშან მან ხვნის გეგმა ორმაგად შეასრულა, გააკეთა 400 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია, გამოიმუშავა 1200 შრომადღე. სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ გამარჯვებათა შემომქმედი ადამიანები ლაგოდეხის რაიონიდან — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 133 მონაწილისა და ექსკურსანტის შემადგენლობით უკვე მოსკოვს გაემგზავრნენ.

დ. ბატიაშვილი

მეცნიერება და პრაქტიკა

ტ. დ. ლისენკო

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ფართოდ არის ნაჩვენები ი. ვ. მიჩურინის, მისი სახელობის კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მომუშავე მრავალი მიჩურინელის მუშაობის შედეგები.

საკმაოდ მრავალ მაგალითზე შეიძლება არამარტო თვალსაჩინოდ შევისწავლოთ აგრობიოლოგიური მეცნიერების საფუძვლები, რომლებიც დამუშავებულია ი. ვ. მიჩურინის მიერ, არამედ ვისწავლოთ მიჩურინისებური გზებით შეცვლა და გაუმჯობესება სხვადასხვა მცენარეული ორგანიზმის ბუნებისა, აი, მაგალითად, გამოფენის ბოსტნეულის ნაკვეთზე წარმოდგენილია კარტოფილის მეურნეობის ინსტიტუტის ექსპონატები—კოკობაი მცენარეები. აქ შეიძლება ვნახოთ წარმატებითი შედეგები ცდებისა, რომლებიც წარმოებული იყო კულტურული კარტოფილის და ველური ფორმის კარტოფილის შორის ვეგეტატიური ჰიბრიდების მიღების მიზნით. კარგად არის ნაჩვენები ამ უბანზე მიჩურინის მეთოდი დაახლოებისა იმ მიზნით, რომ დაძლეულ იქნას ისეთ სახეებისა და გვარების უჯვარედობა, რომელთა შეჯვარება ძნელად ხდება.

ცდების ჩამტარებელმა ნ. ვ. ბრუსნეცოვმა გამოფენაზე წარმოადგინა პამიდორების დამზადებული ჯიში, რომელიც მიღებულია პამიდორის კარტოფილზე მყნობით.

აღვნიშნავ აგრეთვე ჩემთვის კარგად ცნობილ ექსპონატებს, რომლებიც წარმოდგენილია ოდესის სრულიად-საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივის მიერ. აქ შეიძლება ვნახოთ კარტოფილის თეთრბოლქვიანი ფორმები; ისინი მიღებულია ლურჯბოლქვიანი ჯიშებიდან, რომელზედაც დამყნობილი იყო ისეთი ჯიში, რომლებიც თეთრ ბოლქვს იძლევა.

შეიძლება აღვნიშნოთ მთელი რიგი სხვა ექსპონატებიც, რომლებიც საუცხოოდ ადასტურებენ მიჩურინის თეორიის ქმედიანობას. კარგად არის ცნობილი, რომ სამხრეთ რაიონებში კარტოფილის გადაგვარების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი საბჭოთა აგრონომიულ მეცნიერებამ მრავალი კოლმეურნე მცდელისა და აგრონომის დახმარებით გადასწყვიტა. კარტოფილის სათესლე მასალა, რასაც სამხრეთის რაიონებში ახლა ზაფხულში დარგვის მეთოდით იღებენ, სჯობია იმავე ჯიშების სათესლე მასალას, რომელიც საბჭოთა კავშირის უფრო ჩრდილოეთ რაიონებშია მიღებული რვეის ჩვეულებრივი ვადების პირობებში.

საბჭოთა კავშირის შუა ზოლის აგრონომებს და კოლმეურნეებს შეუძლიათ გამოფენის ნაკვეთებზე ისწავლონ, თუ როგორ შეიძლება საკმაოდ ადვილად გაუმჯობესდეს სამხრეთის მაგალითის მიხედვით კარტოფილის სათესლე მასალის მოსავლიანობის ბუნებრივი თვისებები.

გამოფენაზე წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სხვა დარგების მრავალ მთელი მრავალსახეობა და სიმდიდრე.

კოლმეურნეები, აგრონომები და მეცნიერების ადამიანები მრავალ რამეს ისწავლიან გამოფენის თვითეულ პავილიონში. ისინი დაინახავენ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობა არსებობს ჩვენს საბჭოთა კავშირში აგრონომიული მეცნიერების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან ორგანიული კავშირისათვის. მეცნიერებისა და პრაქტიკის ეს მჭიდრო კავშირი კარგად არის ნაჩვენები გამოფენაზე.

სოციალისტური მეცხოველეობა

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობა ბრწყინვალე მაჩვენებლებით შეჰვდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მეცხოველეობის აღმავლობისა და განვითარებისათვის. ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების რიცხვი. სარძეო-სასაქონლო ფერმების რიცხვი 1932 წლიდან 1939 წლამდე 239-დან ავიდა 1.286-მდე, მეცხვარეობის ფერმებისა კი — 127-დან 768-მდე, მეღორეობისა—139-დან 538-მდე.

თვალსაჩინოდ იზრდება საკოლმეურნეო ფერმების პროდუქტიულობა. ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1933 წელს მეცხოველეობისაგან შემოსავალი უდრიდა 44.119 მანეთს, 1936 წელს— 136.030, 1937 წელს — 249.000 მანეთს და 1938 წელს კი — 438.833 მანეთს. თელავის რაიონის ზემო-ალვანის კოლმეურნეობამ 1938 წელს მეცხვარეობისაგან მიიღო 690.800 მანეთის შემოსავალი. ასეთი მაგალითები ბევრია.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოდან მონაწილეობის უფლება მოიპოვა 36-მა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმამ, 68 ზოოტექნიკოსმა, 815 მოწინავე მეაბრეშუმემ და 43 მეაბრეშუმე სპეციალისტმა.

დიდი ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშთა შემადგენლობის გაუმჯობესებას. საქართველოს კოლმეურნეობებში მეტიზებულია 39.230 ძროხა, 29.150 ღორი, 561.000 ცხვარი, 4.582 შვიცისა და სიმენტალის ჯიშის მწარმოებელი. გარდა ამისა, საკოლმეურნეო მესაქონლეობის ფერმებმა მიიღეს 6.265 „პრეკოსის“ და „რამბულიეს“ ჯიშის მწარმოებლები და ინგლისური ჯიშის 5.639 კერატი.

საქართველოში სერიოზული მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის მოშენება-განვითარებისათვის. სწრაფი ტემპით იზრდება მეკამეჩეობისა და მეთხეობის ფერმები.

საქართველოს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში გამოყენებული სტახანოველებიდან ბევრი ორდენებითაა დაჯილდოებული.

გალ. მინდაძე

აგრონომი.

მეთამბაქოეთა გამარჯვება

საქართველოს თამბაქო, რომელსაც ამჟამად 20.842 ჰექტარი უჭირავს, თავისი მაღალი ხარისხით განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება მეთამბაქოობაში მიღწეულ იქნა უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარეს თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ის, რომ 1938 წელს საქართველოში ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 8,35 ცენტნერი თამბაქოს მოსავალი, მაშინ, როდესაც 1931 წელს საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 3,87 ცენტნერს არ აღემატებოდა.

მეთამბაქოობა გადაიქცა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად ჩაბარებული თამბაქოს ფასად სახელმწიფოსაგან 100.000.000 მანეთზე მეტს ღებულობენ.

საქართველოდან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მეთამბაქოობის ხაზით 432 მონაწილეა დამტკიცებული. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 12 ცენტნერის ნაცვლად ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ“ ჰექტარზე 23 ცენტნერი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქო მიიღო. აფხაზეთის ასსრ სოფ. პილენკოვოს კოლმეურნეობამ 9 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიიღო 11 ცენტნერი სამსუნის ჯიშის თამბაქო, სოხუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კი — 12 ცენტნერი. ბორჩალოს რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში 1938 წელს მიღებულ იქნა 9,5 ცენტნერი თამბაქო ჰექტარზე, ხოლო 1939 წელს ეს მოსავლიანობა 12 ცენტნერამდე უნდა გაიზარდოს.

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილენი სიღნაღის რაიონიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. ლაზარიაშვილი (კომბაინერი), ს. უსეინაშვილი (ტრაქტორისტი), თ. ტარყაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე).

ფოტო რ. აკოფოვისა.



სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის საერთო ხედის ერთი კუთხე თვითმფრინავიდან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე

გამოფენა 70 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა

სამი დღის განმავლობაში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 70 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. 3 აგვისტოს გამოფენა ნახა 33 ათასმა კაცმა. მნახველთა რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი უკავია მთავარ პავილიონს: აქ 3 აგვისტოს 5 საათამდე 8.000-ზე მეტი კაცი იყო. ბევრი მნახველი ჰყავს „უკრაინის“ პავილიონს.

უხვი წველადობის ოსტატები

უკრაინის წარჩინებულმა მწველელმა, ორდენოსანმა ივანე ტიმოთესძე ხობოტმა გამოფენაზე ჩამოიყვანა საუკეთესო ძროხები—რეკორდსმენები: „მარკიზა“, „ნიუნკა“ და სხვ. ივანე ხობოტი თავის ძროხებს სწველის ექსკურსანტ მწველელ ქალთა სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და მეცნიერი მუშაკების თანადასწრებით.

კოლმეურნეები გამოფენის შესახებ

ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ჩერვონა უკრაინის“ რგოლის მეთაურმა ქალმა მ. ფ. პილიპენკომ ინახულა პავილიონი „მაქრის ჭარხალი“. ამბ. პილიპენკო გამოფენის მონაწილეა. მისი მიღწევები ფართოდ არის ნაჩვენები პავილიონში. წარჩინებული კოლმეურნე ქალი შეხვდა სხვა მეჭარხლე სტახანოველებს, რომლებსაც თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 13 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის (ვიტომირის ოლქი) რგოლის მეთაურმა ქალმა, ორდენოსანმა ე. ლიუბმა ექსპონატის სახით ჩამოიტანა ამა წლის მოსავლის შაქრის ერთი ძირი ჭარხალი, რომელიც 1.000 გრამს იწონის. შარშან მან ჰექტარზე 564 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აიღო, წელს კი იკისრა 1.000 ცენტნერის აღება.

— გამოფენაზე, — განაცხადა ამბ. ლიუბმა, — მრავალი მოწინავე და ვნახოთ კარტოფილის თეთრბოლქვიანი ფორმები; ისინი მიღებულია ლურჯბოლქვიანი ჯიშებიდან, რომელზედაც დამყნობილი იყო ისეთი ჯიში, რომლებიც თეთრ ბოლქვს იძლევა.

შეიძლება აღვნიშნოთ მთელი რიგი სხვა ექსპონატებიც, რომლებიც საუცხოოდ ადასტურებენ მიჩურინის თეორიის ქმედიანობას. კარგად არის ცნობილი, რომ სამხრეთ რაიონებში კარტოფილის გადაგვარების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი საბჭოთა აგრონომიულ მეცნიერებამ მრავალი კოლმეურნე მცდელისა და აგრონომის დახმარებით გადასწყვიტა. კარტოფილის სათესლე მასალა, რასაც სამხრეთის რაიონებში ახლა ზაფხულში დარგვის მეთოდით იღებენ, სჯობია იმავე ჯიშების სათესლე მასალას, რომელიც საბჭოთა კავშირის უფრო ჩრდილოეთ რაიონებშია მიღებული რვეის ჩვეულებრივი ვადების პირობებში.

საბჭოთა კავშირის შუა ზოლის აგრონომებს და კოლმეურნეებს შეუძლიათ გამოფენის ნაკვეთებზე ისწავლონ, თუ როგორ შეიძლება საკმაოდ ადვილად გაუმჯობესდეს სამხრეთის მაგალითის მიხედვით კარტოფილის სათესლე მასალის მოსავლიანობის ბუნებრივი თვისებები.

გამოფენაზე წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების სხვა დარგების მრავალ მთელი მრავალსახეობა და სიმდიდრე.

კოლმეურნეები, აგრონომები და მეცნიერების ადამიანები მრავალ რამეს ისწავლიან გამოფენის თვითეულ პავილიონში. ისინი დაინახავენ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობა არსებობს ჩვენს საბჭოთა კავშირში აგრონომიული მეცნიერების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან ორგანიული კავშირისათვის. მეცნიერებისა და პრაქტიკის ეს მჭიდრო კავშირი კარგად არის ნაჩვენები გამოფენაზე.

გამოფენა — უნივერსიტეტი

დილით, გამოფენის გახსნისთანავე, მის ყველა შესასვლელთან ექსკურსანტთა ჯგუფებს ნახავთ. აქ არიან ქართველებიც, უზბეკებიც, ყირგიზებიც, ბელორუსებიც — ასობით მებამბეები, სელის მჩეჩავები, ტრაქტორისტები, მწველელები. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოდიან ისინი მოსკოვში, პუშკინსკოეში, რათა შეიძინონ გამოფენის მოწინავე კოლმეურნე-ექსპონატთა გამოცდილება.

ისინი საქმიანად, მეურნის თვალით ათვალიერებენ პავილიონებს, თვითეულ ექსპონატს, ჩიდილობენ არ გამორჩეთ არცერთი წვრილმანი. არცერთი დეტალი, დიდი ცნობისმოყვარეობით ეკითხებიან ექსკურსიის ხელმძღვანელებს, შენიშვნებს შეაქვთ თავიანთ უბის წიგნაკებში.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ნამდვილ უნივერსიტეტად იქცა.

აი ტაჯიკეთის პავილიონი. გისარის ველის 87 კოლმეურნისაგან შემდგარმა ორმა ჯგუფმა მოისმინა შესავალი ლექციები რესპუბლიკის მეურნეობის ცალკეულ დარგთა განვითარებაზე, ყამირის ათვისებაზე, ცალკეული მტს-ებისა და კოლმეურნეობათა წარმატებებზე. ახლა მათ სურთ უველაფერი დაწვრილებით იცოდნენ მოსავლიანობის შესახებ. მათ ეუბნებიან:

— 1913 წელს ტაჯიკეთში მარცლეულ კულტურათა საერთო მოსავალი 2.058 ათას ცენტნერს შეადგენდა, ხოლო 1937-38 წელს 3.997,1 ათას ცენტნერს უდრიდა. საშუალო მოსავლიანობა შესაბამისად იყო 4,7 ცენტნერი და 7,3 ცენტნერი.

ექსკურსანტებს სურთ იცოდნენ, თუ როგორ იქნა მიღწეული ასეთი მოსავლიანობა. მათ აინტერესებთ მოწინავეთა გამოცდილება. აგრონომი ნევზოროვი წარმატებად ლაპარაკობს კულიაბსკის ოლქის მუშინაბადის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 14 წლისთავის“ მცდელზე, 80 წლის მოხუც ნაზარ კურბანოვზე. შარშან მან ჰექტარზე 87 ცენტნერი ნედლი ბრინჯი აიღო, ერთი წლით ადრე კი საცდელ ნაკვეთზე — 101 ცენტნერი! ეს მსოფლიო რეკორდი იყო.

ბაშკირეთის პავილიონს ცოლი-თური ეწვია დონელი კაზაკი, ფროლ სკილკოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული. ამ წარჩინებულ მეცხოველეს ბევრი რამ სმენია ბაშკირელ ცხენებზე, კუმისის სამკურნალო თვისებებზე. მას დაწვრილებით აინტერესებს რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარება. ამ ცნობისმოყვარეობას სავსებით იზიარებს უდმურტელი ექსკურსანტი ქალი, კამბარის რაიონის კოლმეურნეობა „ახიოს“ მეხბორე მარიამ პოვარენკინა, უდმურტეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

1930 წელს უკრაინაში, ნიკოლაევის ოლქში, კოლმეურნეებმა ბამბის თესვა იწყეს. მხოლოდ ცხრა წელი გავიდა, მაგრამ შესანიშნავი შედეგები მიიღეს. კოლმეურნეობა „ჩერვონი პრაპორის“ რგოლის მეთაური, ორდენოსანი პრასკოვია კარპის-ასული კრუგლიკოვა ამბობს:

— 1930 წელს ჩვენ ჰექტარზე 80 კილოგრამი ავიღეთ, შარშან კი ჩვენმა რგოლმა ჰექტარზე 19,5 ცენტნერი აიღო!

ამხ. კრუგლიკოვას ნიკოლაევის ოლქის 45 სხვა ორდენოსანთან ერთად ჩვენ ახლა უზბეკეთის პავილიონში ვხედავთ. ისინი ეჯიბრებიან ფერგანის ველის კოლმეურნეებს და სურთ გაიგონ, თუ როგორ შესძლეს მათ 20-30 ცენტნერის აღება. უკრაინელთა და უზბეკთა შეხვედრა თავდება უზბეკეთის მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლის კონცერტით. კონცერტი გაიმართა იქვე, პავილიონის შესასვლელთან.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲡᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲜᲘᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲜᲘᲐ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ